საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ორგანულ კანონში

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.04.001.016100) დაემატოს 163^4 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 163^4. აუქციონის ფორმით პრივატიზებული მუნიციპალიტეტის (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა) ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებისა) მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შეცვლის ან გაუქმების წესი, ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ეპიდემიიდან ან/და პანდემიიდან გამომდინარე

ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ეპიდემიიდან ან/და პანდემიიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მერი (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა) უფლებამოსილია არაუგვიანეს 2021 წლის 1 სექტემბრისა, საკრებულოს თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს აუქციონის ფორმით პრივატიზებული მუნიციპალიტეტის ქონების შემძენისთვის (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებისა), სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შემსუბუქების შესახებ.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი